

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ეპატერიცე თურქია

ელექტრონული ბიზნესისა და ელექტრონული
კომერციის სისტემების მოდელირება და დაპროექტება



დამტკიცებულია სტუ-ს
სარედაქციო -საგამომცემლო
საბჭოს მიერ

თბილისი

2008

უაკ 681.3

გადმოცემულია ელექტრონული ბიზნესისა და ელექტრონული კომერციის სისტემების ობიექტ-ორიენტირებული და პროცეს-ორიენტირებული მოდელირებისა და დაპროექტების თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები, ბიზნეს-სტრუქტურების, ორგანიზაციებისა და კორპორაციებისთვის მართვის საინფორმაციო სისტემების აპლიკაციების დამუშავების მეთოდებისა და ინსტრუმენტების საშუალებების თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული რეალიზაციის საკითხები.

დეტალურადაა განხილული ქლ-ბიზნესისა და ელ-კომერციის სისტემების WEB-აპლიკაციების აგების ტექნოლოგიები, ბიზნეს-პროცესების მოდელირებისა და დაპროექტების თანამედროვე სისტემები, სერვის-ორიენტირებული არქიტექტურა, ვებ-სერვისების შექმნისა და გამოყენების თვალსაზრისით Microsoft .NET პლატფორმაში.

რეცენზენტი: პროფ. გ. სურგულაძე

© საგამომცემლო სახლი "ტექნიკური უნივერსიტეტი", 2008

ISBN 978-9941-14-124-9

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>

სარჩევი

I თავი. შესავალი ელ-პიზენდისა და ელ-კომერციის	
სისტემებში.....	4
1.1. ქსელური ეკონომიკის მოდელები	4
1.2. ელექტრონული გიზენდი.....	8
1.3. ელექტრონული კომერცია.....	9
II თავი. ელ-პიზენდისა და ელ-კომერციის სისტემების	
ობიექტების კორპო მოდელები	10
2.1. ელ-პიზენდისა და ელ-კომერციის	10
სისტემების კორპო მოდელები	10
2.2. ელექტრონული მარკეტინგის მოდელი.....	15
2.3. ელექტრონული მთავრობის სისტემა	18
2.4. ინტერნეტით გადახდის უსაფრთხოების	21
საპითხები.....	21
III თავი. ელ-პიზენდისა და ელ-კომერციის სისტემების	
მოდელირება, თვისებები და მეთოდები	22
3.1. ვებ-კორტალი.....	22
3.2. სერვის-ორიენტირებული არქიტექტურა.....	25
3.4. პროცეს-ორიენტირებული მიღწოდა	32
3.5. ბიზნეს-პროცესების მოდელირება	33
IV თავი. ელ-პიზენდისა და ელ-კომერციის სისტემების	
WEB-აპლიკაციების აგენტს ტექნოლოგიები	41
4.1. XML – გაფართოებული ვორმატირების	41
ენა.....	41
4.2. სისტემა ebXML.....	45
4.3. ვებ-დაცართების რეალიზაცია	47
4.4. XML ენის ინსტრუმენტების საშუალება	49
XML Spy	49
4.5. ელ-პიზენდისა და ელ-კომერციის სისტემებისთვის	
ვებ-სერვისების შექმნა და გამოყენება .NET-სისტემაში	56
ლიტერატურა:	72

I თავი. შესავალი ელ-ბიზნესისა და ელ-კომერციის სისტემებში

1.1. ქსელური ეპონომიკის მოდელები

ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარებამ წარმოშვა ორგანიზაციული, ეკონომიკური და ზოგადად ბიზნეს-პროცესების მართვის ახალი და თანამედროვე ხერხები, რაც ბიზნეს-გარემოს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ბიზნესის გლობალიზაციის ფორმებში ვლინდება.

დღევანდელი საერთაშორისო სტანდარტებით ნებისმიერი ორგანიზაციის მუშაობა განიხილება როგორც ბიზნეს-პროცესების ურთიერთდაკავშირებული ერთობლიობა. ბიზნეს-პროცესი არის ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების, ერთმანეთთან დაკავშირებული საქმიანობების და შიგა თუ გარე საწარმოო ოპერაციების დეტალური აღწერა. ბიზნეს-პროცესის სრული აღწერა ნიშნავს მისი საზღვრების დადგენას, შიგა ორგანიზაციული ფუნქციების, ეკონომიკურ-ფინანსური მაჩვენებლების, ტექნოლოგიური შესრულების პროცესის, რესურსების, საქმიანი ციკლების, მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის კავშირებისა და ოპერაციების განსაზღვრას [].

ინფორმაციული უზრუნველყოფა ბიზნესის არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსია, რომლის ფლობა და მართვა პრაქტიკულად ნებისმიერი ორგანიზაციის ფუნქციონირების ბირთვია. ბიზნეს-გარემოს ინფორმაციული უზრუნველყოფა საქმიანი ურთიერთობების წარმოების მთავარი საფუძველია, რაც ძირითადად,

ბიზნეს-პროცესებისა და დოკუმენტბრუნვის პროცესების მართვის ასპექტებად ნაწილდება.

თანამედროვე ბიზნესი, პრაქტიკულად მთლიანად დამოკიდებული ხდება ინფორმაციულ სივრცეზე. დღესდღეობით, ინფორმაციული სივრცის შექმნისა და მართვის ძირითადი წყარო განაწილებული ინფორმაციული სისტემების დანერგვა და აქტიური გამოყენება, რაც ბიზნესის ინტერნეტ-ულ სამყაროში ინტეგრაციით გამოიხატება - ელექტრონული კომერციისა და ელექტრონული ბიზნესის სისტემების დანერგვის თვალსაზრისით.

ამ მიმართულებით, ჩამოყალიბდა ეკონომიკური საქმიანობების წარმოებისა და მართვის ახალი ფორმა - ქსელური (ინტერნეტ-ული/ვირტუალური) ეკონომიკა, რომელიც განსხვავდება ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობების მართვის საბაზო და ცნობილიზებული ფორმებისგან. ქსელური ეკონომიკის პირობებში ბიზნეს-ოპერაციები ხორციელდება ელექტრონული სახით, რაც ქმნის ბიზნეს-პარტნიორებისა და ბიზნესში მონაწილე სხვადასხვა სუბიექტების საქმიანი ურთიერთობის ვირტუალურ გარემოს.

ბიზნეს-პრაქტიკიდან გამომდინარე კომუნიკაციის ელექტრონული ფორმების გამოყენება საგრძნობლად ამცირებს ორგანიზაციულ, დროით და ბიზნესის მთლიანი ინფრასტრუქტურის (რეკლამა, შეკვეთების გაფორმება და ა.შ.) ხარჯებს. შედეგად მიიღება ახალი ეკონომიკური მოდელი, რომელიც ბაზირებულია ინფორმაციის გლობალურ ელექტრონულ გაცვლაზე [1, 3].

ქსელურ ეკონომიკას ამ დარგის ფუძემდებლები პერსპექტიული მიმართულებით მოიხსენიებენ, ქსელური ეკონომიკის მოდელები მოიცავენ სტანდარტებს: საწარმოო რესურსების მართვა (Enterprise Resource Planning System - ERP), კლიენტებთან ურთიერთობის მართვა (Customer Relation Management - CRM), საწარმოო მარკეტინგული პროცესების მართვა (Enterprise Marketing Management - EMM) და ა.შ.

ქსელურ ეკონომიკის ძირითადი სტანდარტია საწარმოო რესურსების მართვის სისტემა, რომელიც აგებულია მოდულური პრინციპით და მასში მოდულების სახით თავმოყრილია წარმოების მართვისა და კომპანიის საქმიანობის ყველა ძირითადი პროცესი (ლოგისტიკა, დისტრიბუცია, მარაგების მართვა, საბუღალტრო ოპერაციები და ა.შ.). საწარმოო რესურსების მართვის სისტემას გააჩნია ერთი უნივერსალური, ინტეგრირებული პროგრამული ინტერფეისი და ერთიანი მონაცემთა საცავი, რომელიც შეიცავს მთლიანი კორპორაციის ბიზნეს-ინფორმაციას [].

ქსელური ეკონომიკის მიმართულება 90-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბებული ბიზნეს-რესტრუქტურიზაციის პროცესის განვითარების ფორმაა, რომელმაც საბოლოოდ დაამკვიდრა საინფორმაციო ტექნოლოგიების აუცილებლობა ბიზნესის მართვასა და განვითარებაში, რაც ნებისმიერი ბიზნეს-პროცესის ავტომატიზაციის იდეოლოგიას ატარებს. ბიზნეს-რესტრუქტურიზაციის პროცესმა პრაქტიკულად სათავე დაუდო, კონკრეტულად ბიზნესის დარგისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების პლატფორმის შექმნას. ამ

პლატფორმის მიზანია გახადოს ბიზნესი ინტელექტუალური და ავტომატიზებული. იგი ითვალისწინებს ბიზნეს-გარემოს ადაპტაციას საინფორმაციო ტექნოლოგიებთან, რისი შედეგეციაა ელექტრონული კომერციისა და ელექტრონული ბიზნესის სისტემები, კორპორაციული საინფორმაციო სისტემები და ა.შ. ფაქტობრივად, ამ იდეოლოგიას შემდგომში ეწოდა ბიზნეს-პროცესების მართვის საინფორმაციო ტექნოლოგია, რომელიც მოიცავს ავტომატიზებული სისტემის დაპროექტების, მოდელირებისა და აგების ყველა უტაკს.

ბიზნეს-პროცესების მართვის საინფორმაციო ტექნოლოგია დაპროექტებისა და მოდელირების თვალსაზრისით იყენებს ბიზნეს-პროცესების მოდელირების ენებს (Business Process Diagrams - BPD, Business Process Execution Language – BPEL, Business Process Modeling Language - BPML), უნიფიცირებული მოდელირების ენას (Unified Modeling Language - UML), მონაცემთა ნაკადების დიაგრამას (Data Flow Diagrams - DFD), დოკუმენტბრუნვისა (Docflow Management System) და საქმიანი ნაკადების მართვის სისტემებს (Workflow Management System) და ა.შ. რაც შეეხება ავტომატიზაციის მხარეს, აქ უმეტესად გამოყენებაშია ვებ-ტექნოლოგიაზე ბაზირებული პლატფორმები და პროგრამული ტექნოლოგიები (Microsoft .NET Framework, Java Framework, Java NetBeans, PHP, XML, HTML და ა.შ.).

1.2. ელექტრონული ბიზნესი

ელექტრონული ბიზნესი არის ნებისმიერი საქმიანი ქმედება, რომელიც იყენებს გლობალურ ინფორმაციულ ქსელებს კომპანიის შიგა (ინტრანეტი) და გარე (ექსტრანეტი) კავშირებისათვის მატერიალური და დროითი მოგების მიღების მიზნით. ფაქტობრივად, იგი შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციული, საქმიანი ნაკადებისა და დოკუმენტბრუნვის სისტემად, ინტერნეტული ტექნოლოგიების გამოყენებით [4].

ელექტრონული ბიზნესი უზრუნველყოფს კომპანიებისთვის და სახელმწიფო ორგანოებისთვის: ვებ-საიტის, როგორც ინტერნეტში ინფორმაციული წარმომადგენლობის შექმნას, კომპანიის ბიზნეს პროცესების ინტეგრაციას და მათ კავშირს დამკვეთებთან და მომხმარებლებთან, ბიზნეს-პროცესების ქმედებების, სამომხმარებლო ჯგუფისა და მარკეტინგული სამსახურის გაფართოებას.

ელექტრონული ბიზნესის გამოყენებისას კომპანიებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობა მთლიანად ორიენტირებული უნდა იქნას სრულყოფილი ქსელურ-ინტერნეტული მომსახურეობის სისტემებზე, რომელიც თავის მხრივ ინტეგრირებული იქნება საქმიან (ბიზნეს) პროცესებზე.

სრულყოფილი ქსელურ-ინტერნეტული მომსახურეობის მთავარ უპირატესობას წარმოადგენს დიდი რაოდენობის კლიენტურის ერთდროული ურთიერთობა და ურთიერთქმედება რეალურ დროში, რაც ნიშნავს ქსელის ისეთი მახასიათებლების გამოყენებას,

როგორცაა გლობალურობა, ინფორმაციული მიღწევადობა, ურთიერთქმედებების პერსონიფიცირება, ინტერაქტიული რეჟიმი, გადაწყვეტილების მიღების პროცესების დაჩქარება და ა. შ.

1.3. ელექტრონული კომერცია

ელექტრონული კომერცია ელექტრონული ბიზნესის მთავარი შემადგენელი ნაწილია. იგი ტექნიკური და ორგანიზაციული ფორმების ერთობლიობაა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მატერიალური და ფინანსური აქტივების გადაცემა ბიზნესის ერთი სუბიექტიდან მეორეზე, ნებისმიერი სახის კომერციული გარიგებებისა და კომერციული საქმიანობების განხორციელება პარტნიორებთან, ბანკებთან, მიმწოდებელსა და მომსმარებლებთან ინტერნეტის გამოყენებით. როგორც წესი, ელექტრონული კომერციის სისტემებში არსებობს გარიგებების შესრულების ყველა ეტაპი: საჭირო პროდუქციისა და მომსახურების ძიება, გარიგების დეტალების დაზუსტება, გადახდა, შეკვეთის მიღება, ნედლეულისა და მზა პროდუქციის მიწოდება და ა. შ.

კომპანიის საბაზრო სტრატეგიის კუთხით ელექტრონული კომერცია გვთავაზობს ისეთი ფორმების არსებობას ინტერნეტში როგორიცაა ელექტრონული საკიზიტო ბარათი, რომელიც კომპანიის საქმიანობისა და ინფორმაციის შემცველი ვებ-გვერდია, ელექტრონული კატალოგი, ელექტრონული ვაჭრობა (e-trading), ელექტრონული მაღაზია (e-shop), ელექტრონულ ბუღალტერია და ა.შ.

II თავი. ელ-ბიზნესისა და ელ-კომერციის სისტემების

ოპიტემიზაციის პროცესი

2.1. ელ-ბიზნესისა და ელ-კომერციის

სისტემების პროცესი

ელექტრონული ბიზნესისა და ელექტრონული კომერციის კერძო მოდელები არაელექტრონული ბიზნესის ინფორმაციული მხარდაჭერაა. ისინი პრაქტიკულად, ელექტრონული ბიზნესის მოდელების განშტოებაა, რომელთა კომპლექსიც ინტერნეტ-ული კომპანიის შექმნისკენაა მიმართული.

არსებული არაელექტრონული ბიზნესის ინფორმაციული მხარდაჭერის მიზანია სარეკლამო, საინფორმაციო არხის შექმნა, კლიენტებსა და პარტნიორებთან კომუნიკაციის გამარტივება, დადებითი იმიჯის შექმნა, სრული ბიზნეს-ციკლის რეალიზაცია ინტერნეტში, ორიენტაცია დროით და მატერიალურ მოგებაზე და ა.შ.

ელ-ბიზნესისა და ელ-კომერციის ზოგად მოდელში კლასიფიცირებულია მირითადი ბიზნეს-ურთიერთობების შემდეგი კატეგორიები:

- ბიზნეს-ბიზნესი (business-to-business, B2B);
- ბიზნეს-მომხმარებელი (business-to-consumer, B2C);
- ბიზნეს-ადმინისტრაცია (business-to-government, B2G);

ბიზნეს-ბიზნესი (business-to-business, B2B)- ფირმათაშორისი (საწარმოთაშორისი) ელექტრონული კომერციაა, რომელიც მოიცავს ყველა დონის ინფორმაციულ კავშირებს კომპანიებს შორის. ამ სფეროს მთავარი ტენდეცია მრავალფუნქციონალური ბიზნეს-

დანართების ერთიანი ვებ-ინტერფეისის დამუშავებაა. მისი საშუალებით შესაძლებელია განხორციელდეს კომპანიების ბიზნეს-პროცესების ფართო სპექტრისა და საშუამავლო რგოლების (მაგალითად, ბანკები, პარტნიორები, მიწოდებლები და ა. შ.) ინფორმაციული და საქმიანი ნაკადების ინტერნეტული მხადაჭერის უზრუნველყოფა.

ასეთი სისტემები, ძირითადად, გამოიყენება კომპანიების სრული ავტომატიზაციისათვის, მზა პროდუქციის გასაღებისთვის, ასევე უწ. “ლოგისტიკური ჯაჭვის მართვის” მიმართულებისთვის (Supply Chain Management-SCM), რომელიც წყვიტავს კოორდინაციის, მარაგების დაგეგმვისა და მართვის პროცესების, წარმოების, მზა პროდუქციის შენახვისა და მიწოდების ამოცანებს და უზრუნველყოფს შეკვეთების, პროდუქციის რეალიზაციის, გასაღებისა და მიწოდების პროგნოზისა და კონტროლის სრულ ინფორმაციულ საცავს, მუდმივი და დროული განახლებით, რაც საბაზრო ეკონომიკაში მომუშავე კომპანიებისთვის აუცილებელი და ღირებულია.

B2B სისტემების დანერგვით ამა თუ იმ კომპანიით დაინტერესებულ ნებისმიერი პირს, გეოგრაფიული ადგილის მიუხედავად, შესაძლებლობა ექმნება გაცნოს კოპანიის პირობებს, მიმდინარე მომსახურებას, განახორციელოს შეკვეთა, ყიდვა, დაგეგმოს მიწოდება, განსაზღვროს ტრანსპორტირების ვადები, ხერხები, ხარჯები და ა.შ.

B2B მოდელის ერთერთი შემადგენელი ნაწილია **ელექტრონული სავაჭრო პლატფორმა (e-Marketplaces)** ე.წ. ინტერნეტული ვაჭრობა,

რომელიც ქმნის კომპანიის მომარაგებისა და გასაღების ხელშემწყობ სამსახურს, რაც საშუალებას იძლევა მყიდველისთვის საჭირო პროდუქციის ძიებისა და ყიდვის ხარჯების შემცირებას და რა თქმა უნდა ყიდვის პროცესის დროის ეკონომიას, ხოლო გამყიდველისთვის უზრუნველყოფს ახალი კლიენტურის რაოდენობის ზრდას, საკომისიო, კორპორაციული ყიდვებისა და გაყიდვების მინიმიზაციას. ამ სისტემის გამოყენებით შესაძლებლობა ექმნებათ მწარმოებლებს, დილერებს, დისტრიბუტორებსა და გაყიდვებით დაინტერესებულ პირებს უზრუნველყონ პროდუქციისა და მომსახურეობის ყიდვა—გაყიდვა.

ელექტრონული სავაჭრო სისტემაში საბაზრო ურთიერთობების გუთხით გაერთიანებულია მარკეტინგული კვლევის წარმოების ძირითადი ფაქტორები, იგი მოიცავს:

ელექტრონულ კატალოგს, რომელიც წარმოადგენს კომპანიების, მათი მომსახურეობისა და პროდუქციის ინფორმაციული ბაზის საძიებო სისტემას სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით (მაგალითად, დასახელება, ფასი, გამოშვების თარიღი, გარანტია, და ა.შ.). ეს საინფორმაციო ხასიათის ვებ-გვერდია, სადაც თავმოყრილია დაწვრილებითი ინფორმაცია პროდუქციისა და მომსახურების შესახებ.

ელექტრონულ ბირჟას-ე.წ. ანონიმურ სავაჭრო პლატფორმას, რომელიც მონიტორინგის საშუალებას იძლევა. ონლაინ ბაზარს შესაძლებლობა ექმნება განსაზღვროს პროდუქციის ფასები დინამიკაში, ხოლო გაყიდვებითა და ყიდვით დაწერესებულ პირებს

საშუალება აქვთ ცვალოს პროდუქციისა თუ მომსახურების ფასები შესაბამისად.

ელექტრონულ აუქციონს, რომელიც ადგენს ფასებს ელექტრონული გაჭრობის დროს.

ელექტრონულ გაერთიანებებს, რომლის ძირითადი დანიშნულებაა პოტენციალური მყიდველებისა და გამყიდველების, კომპანიისთვის საინტერესო წინადადებების, საბაზრო სიტუაციებისა და მოთხოვნების ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება.

ელექტრონული სავაჭრო პლატფორმების სისტემიზაციისთვის პლატფორმები დაყოფილია შემდეგი დარგობრივი ფუნქციების მიხედით:

– პორიზონტალური, რომელიც სპეციალიზბულია ცალკეულ ბიზნეს-ფუნქციებზე, მასში ერთიანდება ყველა საწარმოო დარგის ბიზნეს-მოთხოვნა (მაგალითად, საოფისე მოწყობილობები);

– ვერტიკალური, რომელიც ფუნქციონირებს განსაზღვრულ სფეროში (მაგალითად, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა და ა. შ.);

– კორპორაციული, რომელიც განკუთვნილია კერძო სისტემებისათვის, ერთი ან რამდენიმე ბიზნეს-ჯგუფისათვის, მაგალითად, პარტნიორისათვის ან პარტნიორული სისტემისათვის და დამოუკიდებელი ე.წ. მესამე მხარის სისტემა. იგი მოიცავს ტექნოლოგიურ კომპანიებს, ასოციაციებს, ბანკებს, საინფორმაციო სააგენტოებს, სავაჭრო-სამრეწველო პალატებს და სხვა საბაზრო სუბიექტებს.

მიმართულება ბიზნეს-მომხმარებელი (Business-to-Customer, B2C) ელექტრონული კომერციის ვარიანტია, სადაც მყიდველი კერძო პირია. მაგალითად, ინტერნეტ-მაღაზია, ფასიანი საინფორმაციო საშახური და ა.შ.

ბიზნეს-მთავრობა (business-to-government, B2G)

ელექტრონული კომერციაა საწარმოსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის. პრაქტიკულად, ნებისმიერი კომპანიის არსებობა და მუშაობა დამოკიდებულია სახელმწიფო ორგანოებზე. ამ მიმართულების უპირატესობას ძირითადად კომპანიებსა და სახელმწიფო ადმინისტრაციულ სტრუქტურებს შორის საგადასახადო სისტემის გამჭვირვალობა და დოკუმენტბრუნვის პროცესის უზრუნვლყოფა წარმოადგენს, რაც ცალსახად კორუფციის აღმოფხვრასაც ეხმარება. მისი საშუალებით გამარტივებული იქნება რიგი სახელმწიფო ფუნქციები, მაგალითად, საბიუჯეტო ნაკადების მეთვალყურეობა, კომპანიების, ფირმების, სატრანსპორტო საშუალებების, პატენტების რეგისტრაცია, ხელშეკრულებების გაფორმება, კომპანიებისთვის საჭირო ინფორმაციის გამოქვეწება-შეგროვება, რაც ხელს შეუწყობს ბიუროკრატიული შეფერხებების შემცირებასა და აუცილებელი ადმინისტრაციული პროცედურების დაჩარებას.

ელექტრონული კომერცია არა მხოლოდ გაყიდვების ხელშეწყობი სისტემაა კომპანიებსა და მოხმარებლებს შორის, არამედ იგი კომპლექსური ინფორმაციული ურთიერგაცვლისა და საგაჭრო ურთიერქმედებების ერთობლიობის ვირტუალური ორგანიზაციაა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება

საწარმოო სისტემის ნაწილობრივი ავტომატიზაცია შემდეგი ფუნქციების მიზედვით:

- შეკვეთის ფორმირება;
- ინფორმაციის გაცვლა;
- შიგა სტრუქტურის მართვა;
- ნედლეულისა და მზა მიწოდების დაგეგმვა;
- დოკუმენტბრუნვა;
- პროდუქციისა და მომსახურების რეკლამა;
- პრეისკურანტი;
- საბუღალტრო საქმიანობების ორგანიზაცია;
- გასაღების ქსელის მხარდაჭერა;
- სტატისტიკა და ა.შ.

2.2. ელექტრონული მარავათიგის მოდელი

წარმოების ეფექტურად მუშაობისთვის და საბაზრო-ეკონომიკურ პირობებში კომპანიის არსებობისთვის ერთ-ერთი მთავარი ბირთვია მარკეტინგული სამსახური, რომელიც იკვლევს რამდენად ეფექტურად ხორციელდება ბიზნესის პრაქტიკულად ყველა ბირთვი და მოიცავს მისაღები ზომების კომპლექსს, რაც უზრუნველყოფს პროდუქციის კონკურენტუანარიანი მდგომარეობის შექმნას ბაზარზე.

მარკეტინგული პროცესი ხელს უწყობს წარმოებას დაგეგმოს და პრაქტიკულად განახორციელოს ნოვატორული იდეების

დამუშავება, ახდენს იმ ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს, რაც აუცილებელი ფაქტორებია პროდუქციაზე ფასების ფორმირებისთვის, მასზე მიზიდვის ღონისძიებების გატარებისა და გაყიდვების სტრუქტურისთვის. ფაქტობრივად, მარკეტინგული პროცესი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმების შემუშავების, ტექნოლოგიური პროცესის მართვის, წარმოების აღრიცხვისა და სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის ამოცანათა ერთობლიობაა, მათი უფრო უძველესი გზების ძიებისთვის და პრაქტიკული რეკომენდაციების განსაზღვრისთვის.

მარკეტინგი კოორდინაციას უწევს ყველა საწარმოო პროცესს, რის საფუძველსაც წარმოადგენს ინფორმაციულ-ანალიტიკური კვლევა ინფორმაციული და საკომუნიკაციო სისტემების საშუალებით. ამ თვალსაზრისით, მარკეტინგში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება პრაქტიკულად, მარკეტინგული პროცესების მმართველ ფუნქციას წარმოადგენს.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვანი ასახვა ჰქოვა მარკეტინგული პროცესების განვითარებაში და შეიქმნა სპეციალური მიმართულება - საწარმოო მარკეტინგული პროცესების მართვა (Enterprise Marketing Management- EMM), რომელიც წარმოადგენს მარკეტინგული პროცესების ინტეგრირებულ სისტემას და გამოიყენება როგორც პლატფორმა საწარმოო მარკეტინგული პროცესების ავტომატიზაციისთვის.

საწარმოო მარკეტინგული პროცესების მართვის კატეგორიაში შედის მარკეტინგული რესურსების მართვის (MRM, Marketing

Resource Management), მარკეტინგული ანალიტიკის (Marketing Analytics), ციფრული აქტივების მართვის (Digital Asset Management), გაყიდვების მართვის (Leads Management), ელექტრონული მარკეტინგის (On-line Marketing), კლიენტებთან ურთიერთობის მართვისა (CRM, customer relationship management) და საწარმოო რესურსების დაგეგმვის (ERP, Enterprise Resource Planning) სისტემების ჯგუფი. ჩამოთვილ სისტემათა ჯგუფი ფაქტობრივად, სრულყოფილ ხდის მარკეტინგული კვლევის პროცესების დამუშავებას, რის საფუძველზეც არსებითად იზრდება მარკეტინგული კვლევის ეფექტურობა და მცირდება საკუთრების მთლიანი ღირებულება (TCO, Total Cost of Ownership).

მარკეტინგული პროცესების მართვისას ამ სისტემების ჯგუფში აუცილებელია ჩავრთოთ ასევე სარეკლამო კვლევის სისტემა, რაც მარკეტინგული კვლევის წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. რეკლამა ხელს უწყობს პროდუქციის კლიენტურის მაქსიმალურად დიდი აუდიტორიის შექმნასა და მიზიდვას. რეკლამის მიზანია საბაზო გარემოსა და მომხმარებელთა მსყიდველობით ქცევაზე პირველადი ინფორმაციის შეგროვება სპეციალური პროცედურების გატარებით. სპეციალური პროცედურები ესაა რეკლამის ძირითადი სახეობები, მაგალითად, ინფორმაციული, ბეჭდვითი, აუდიო-ვიზუალური, ინტერნეტული, საგამოფენო (გამოფენა-გაყიდვები), სუვენირული, გარე, შიგა და ა.შ. სარეკლამო პროცესის დაგეგმვაში გასათვალისწინებელია რეკლამის სხვადასხვა სახეობებისა და საშუალებების ოპტიმალური კომბინაციის მოქმედნა,

რეკლამის ეფექტურობის შეფასება და რეკლამისთვის ბიუჯეტის განსაზღვრა.

რეკლამის სახეობის და რეკლამის სახეობათა კომბინაციის შერჩევისას გასათვალისწინებელია შემდეგ ფაქტორთა პლევა: მომხმარებელთა აქტივობა, რეკლამის სახეობის ეფექტურობა, გამოყენების პერიოდი, დამზადების პერიოდი და ხარჯი რეკლამის თითოეული სახეობის დამზადებაზე. სარეკლამო ღონისძიებების გატარება, გარდა პროდუქციის მიზიდვისა და გაცნობისა მნიშვნელოვან ასახვას ჰპოვებს მარკეტინგული საქმიანობის წარმართვაზე, რაც შესაბამისად გავლენას ახდენს პროდუქციის საწარმოო პროცესის დაგეგმვისა და მართვის ასპექტებზე. პრაქტიკულად, რეკლამა საშუალებას იძლევა ჩატარდეს წინასწარი პლევა მომხმარებელთა პროდუქციის სავარაუდო მსყიდველობით რეაქციაზე.

2.3. ელექტრონული მთავრობის სისტემა

ელექტრონული ბიზნეს-მთავრობის (B2G-business-to-government) მიმართულებამ განვითარება ჰპოვა G2C (government-to-citizens, მთავრობა-მოქალაქეები) და G2G (government-to-government, მთავრობა-მთავრობა) კატეგორიებში და ვირტუალური მიმდინარეობის ერთ-ერთ ფორმად იქცა. იგი, e-government სახელითაა ცნობილი.

e-government არის ღია საზოგადოებრივი ვირტუალური სისტემა, რომელშიც გაერთიანებულია მოსახლეობა, სახელმწიფო, ადმინისტრაციული, მუნიციპალური ორგანოები და საწარმოო ორგანიზაციები.

ელექტრონული მთავრობა, როგორც მმართველობის ორგანოს ორგანიზების პრინციპი, გულისხმობს საჯარო დაწესებულებების ფუნქციონალურ და სტრუქტურულ გარდაქმნებს, რათა უფრო თანმიმდევრული, მარტივი და მიზანმიმართული, ინდივიდუალიზებული და საბოლოო ჯამში გაცილებით ეფექტური გახდეს ურთიერთქმედებები მოქალაქეებთან, მეწარმეებთან, თვით საჯარო მოსამსახურეებთან და აგრეთვე სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებს შორის.

ელექტრონული მთავრობის სისტემა საზოგადოებასთან ინტერაქტიულ რეჟიმში ურთიერთობის ხელშემწყობი საშუალებაა. კლასიკური განმარტებით ელექტრონული მთავრობის სისტემა არის შიგა და გარე ურთიერთქმედებების ელექტრონული ტრანსფორმაცია საზოგადოებრივი მართვის სისტემაში, რომელიც უზრუნველყოფს მართვის ოპტიმიზაციას, მოსახლეობის მომსახურეობას, მათი კონსტიტუციური უფლებების გაცნობას, დისტანციურ კონსულტაციებს, რითაც შეძლებისდაგვარად აღმოიფხვრება ის ინფორმაციული უთანასწორობა, რაც პრაქტიკულად დღეს არსებობს და ქმნის უამრავ ნეგატიურ განწყობას მოსახლეობაში.

ამ პრობლემის ცალსახა გადაჭრას ეხმარება მიმართულება G2C (government-to-citizens, მთავრობა-მოქალაქეები). მისი დანერგვით,

გარდა ინფორმაციული ვაკუუმის შევსებისა მოსახლეობაში, შესაძლებელი გახდება:

– მკაცრად დაცული, კონტროლირებადი და სრულყოფილი არჩევნების ორგანიზება, ადგილობრივი, რეგიონალური და რაიონული მოსახლეობის მასშტაბით;

– სოციალური, კომუნალური და სხვა სახის ვალდებულებების გადახდა (საბანკო და საგადასახადო ინსტიტუტების ინტერნეტ-ული საშუალებლო რეკლომის ჩართვით);

– საგადასახადო, საბაზო და სხვა დეკლარაციების ელექტრონულ ფორმატში შევსება, სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტების ინტერნეტით გადმოწერა და მრავალი სხვა ბიოროკრატიული პროცედურების ელექტრონული წარმოება.

საქართველოში დღეისათვის უკვე შექმნილია და აქტიურ გამოყენებაშია ელექტრონული მთავრობის სისტემები. მაგალითად, საქართველოს საპარლამენტო ვებ-პორტალი – www.parliament.ge, თბილისის მერიის ვებ-პორტალი - www.tbilisi.gov.ge, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-პორტალი – www.naec.ge , საქართველოს აქციზის გადამხდელთა ვებ-პორტალი – www.eti.ge, საქართველოს განათლების სამინისტროს ვებ-გვერდი – www.mes.gov.ge და სხვა.

2.4. ინტერვენტით გადახდის უსაფრთხოების საპითხები

პირველ რიგში გადახდის უსაფრთხოება ინტერნეტში დაკავშირებულია ქსელით გადაცემული მონაცემების უსაფრთხოებასთან და დამოკიდებულია ტრანზაქციის ყველა მონაწილის კეთილინდისიერებაზე (გადამხდელი, თანხის მიმღები, ბანკი და ა.შ.). გადახდა ინტერნეტით შეიძლება ჩაითვალოს უსაფრთხოდ შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. გადახდასთან და გარიგებასთან დაკავშირებული მონაცემები არ უნდა მოხვდეს არც ნაწილობრივ და არც სრულად მესამე პირის ზელში.
- ოპერაციის ყველა მონაწილის ავთენტიფიკაცია. ოპერაციის ყველა მონაწილე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას საქმე აქვს რეალურ პირთან.
- ინფორმაციის გადაცემა ზარვეზის გარეშე (მონაცემთა მთლიანობა). ინფორმაცა შენახვისა და გადაცემისას დაცული უნდა იყოს არასანქცირებული ცვლილებებისაგან.
- გარიგების უარყოფის შესაძლებლობის გამორიცხვა ოპერაციის ყველა მონაწილისათვის (გარიგების ნოტარიზაცია).
- ოპერაციის მონაწილის მიერ სხვა მონაწილეების შესახებ ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობის გამორიცხვა.

III თავი. ელ-ბიზნესისა და ელ-კომერციის სისტემების მოღვაწეობა, თვისებები და მთოღვანი

3.1. ვებ-კორტაცია

ვებ-პორტალი ვირტუალური ინტეგრაციის მთავარი ბირთვია. იგი, სისტემური, მრავალდონიანი, ორგანიზებული ინტერფეისია სხვადასხვა რესურსისა და სერვისის გამოყენებით, სადაც გაერთიანებულია როგორც დინამიკური, ისე სტატიკური ხასიათის სტრუქტურიზებული და არასტრუქტურიზებული მონაცემები. იგი, შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ტექსტური რედაქტორი ან ბრაუზერი, რომელიც მუშაობს სერვერზე. მისი მთავარი დანიშნულება ერთიანი ინტეგრირებული ინფორმაციული გარემოს შექმნაა ერთი ინტერფეისის სახით, რომელიც აერთიანებს ინფორმაციულ საცავებს, სხვადასხვა სახის პროცესს, დანართს, ფუნქციას და დამოუკიდებელია პროგრამული და აპარატული პლატფორმებისაგან.

ფაქტობრივად, პორტალი ვებ-დანართებთან წვდომის ერთიანი ფორმაა, რომელიც უზრნველყოფს ძიებას, დაცვას, ერთიანი მუშაობის ორგანიზებას, დოკუმენტბრუნვას, საქმეთა წარმოებას და ა. შ.

პორტალები იყოფა ოთხ ძირითად ჯგუფად, თუმცა აღსანიშნავია, რომ მათი კლასიფიკაცია თანდათან ფართოვდება:

პორიზონტალური – ე.წ. მეგაპორტალი, რომელიც აერთიანებს ზოგადი ტიპის პორტალებს. იგი განკუთვნილია ფართო აუდიტორიისათვის და ემსახურება მასობრივი ინფორმაციების მონაცემთა სფეროს. მაგალითად, Yahoo, Lycos, Rambler, google,

yandex, რომელთა სერვისში შედის სხვადასხვა უწენქცა: ელ. ფოსტა, საბიქით სისტემა, ლექსიკონი, საიტების რეკლამა და ა. შ.

პორიზონტალურ კვანძს წარმატებული უწენქციონირებისათვის უნდა ჰქონდეს საქმე ისეთ ბიზნეს-პროცესებთან, რომლებიც გამოირჩევა სტანდარტიზაციის მაღალი დონით. ბიზნეს-პროცესის ადაპტირება სხვადასხვა მიმართულებასთან უნდა ხორციელდებოდეს მარტივად.

ვერტიკალური, რომელიც აგებულია კონკრეტულ ან დაჯგუფებულ თემატიკაზე. იგი გამოიყენება სხვადასხვა კონკრეტული სფეროსათვის, ელექტრონული კომერციის სხვადასხვა მიმართულების სისტემისათვის და მასში ერთიანდება კორპორაციული, დარგობრივი, საგაჭრო და მსგავსი ტიპის პლატფორმები- ელექტრონული მარკეტინგის, ფინანსებისა და სხვადასხვა ბიზნეს-ოპერაციის წარმოებისათვის.

ვერტიკალური კვანძის საიტები ძირითადად აღჭურვილია საბიქებელი სისტემით, რაც საშუალებას აძლევს კლიენტს შესაბამისი პარამეტრების მიხედვით მოძრაოს საჭირო შემოთავაზება, ასევე აწვდის მომხმარებელს ანალიტიკურ ინფორმაციას, რომელიც სპეციფიკურია მოცემული მიმართულებისათვის. როგორც წესი, ვერტიკალური კვანძი იგება არა რაიმე წინასწარ განსაზღვრული მოდელის მიხედვით არამედ – მოცემულ მიმართულებაში მყიდველსა და გამყიდველს შორის ურთიერთდამოკიდებულების სპეციფიკის გათვალისწინებით.

კორპორაციული ანუ B2B პორტალი. იგი პრაქტიკულად, განვითარება ვერტიკალურ პორტალთა ჯგუფს, თუმცა მასშტაბურობის გამო წარმოდგენილია ცალკე პორტალად. მასში ერთიანდება მხოლოდ ის პორტალები, რომლებიც ელექტრონული კომერციის მოდელებისთვისაა (B2E, B2C, B2B) დამახასიათებელი: შიგა კორპორაციული ინტრანეტ-პორტალი (Business area portals), მონაცემთა ანალიზის პორტალი (Business intelligence portals), გუნდური მუშაობის პორტალი (Enterprise Collaborative Portals), როლური პორტალი (Role portals) და ა. შ.

პორტალის სერვისის ლოგიკა იგება ე.წ. პორტლეტების ბაზაზე.

პორტლეტი (Portlet) არის სპეციალიზებული პროგრამული მოდული (პროგრამული კოდის ფრაგმენტი), რომელიც წარმოადგენს პორტალის დამოუკიდებელ მრავალჯერად კომპონენტს. ფიზიკურად იგი პორტალის მცირე დანართი ე.წ. მობილური ფანჯარაა და უმეტესად მოთავსებულია პორტალში ოთხკუთხედური დაყოფით.

პორტლეტი უზრუნველყოფს კავშირს სხვადასხვა მონაცემის წყაროსთან, ვებ-გვერდთან, ასრულებს კონკრეტულ შეკვეთას, რომელიც შედის პორტალის ინტერფეისში, უზრნველყოფს ავტორიზაციას და ა. შ.

პრაქტიკულად იგი უზრუნველყოფს პორტალის ინფორმაციულ შევსებას, როგოც ვიზუალური, ისე შიანაარსობრივი თვალსაზრისით.

პორტალის კონცეფციის საფუძველია მოდულური არქიტექტურა. მომხმარებლის თითოეული შეკვეთა მიმართავს

პორტალთან ავტორიზაციაზე, აუტენტიფიკაციაზე და პერსონალიზაციაზე პასუხისმგებელ ბლოკს. შემდეგ იგი მიემართება მარშრუტიზაციის ბლოკზე, სადაც დგინდება შეკვეთის პარამეტრები შესაბამისი ფუნქციური მოდულების გამოძახებით. პორტლეტი ინტერაქტირებას უკეთებს შეკვეთას და ასრულებს მას პროგრამის ქვესისტემებთან, მონაცემთა ბაზასთან, გარე დანართთან და სხვა წყაროებთან მიმართვით.

პორტლეტის ვაზუალური მაგალითია, საიტზე არსებული პიპერტექსტი, E-mail-ის ბლოკი, სამიებო მექანიზმი, კლავიში, რომელიც იძახებს სხვადასხვა ვებ-გვერდს, ინტერნეტულ პროექტს, დოკუმენტს, pdf ფაილს და ა. შ.

3.2. სერვის-ორიენტირებული არქიტექტურა

სერვის-ორიენტირებული არქიტექტურა (Service Oriented Architecture, SOA) ახალი ხედვაა განაწილებული საინფორმაციო სისტემების ავტომატიზაციაში, რაც სხვადასხვა პროგრამულ დანართებში ცალკეულად დამუშავებული ავტომატიზებული ბიზნეს-პროცესების კომპონიციისა და ინტეგრაციის საშუალებას იძლევა ერთ მთლიან სისტემაში. იგი, წარმოადგენს კომპონენტების ურთიერთქმედების მოდელს, რომელიც აკავშირებს დანართების სხვადასხვა ფუნქციონალურ მოდულებს (ვებ-სერვისებს) და საერთო ინტერფეისში მუშაობის საშუალებას იძლევა.

სერვის-ორიენტირებული მიღებობის არსია არსებული და მომავალი სხვადასხვა ფუნქციონალური, მასშტაბური საინფორმაციო სისტემების დანართების ურთიერთქმედება და ორგესტრირება ერთ საინფორმაციო გარემოში, ხოლო წვდომა სხვადასხვა საინფორმაციო სისტემების დანართებზე ხორციელდება ვებ-სერვისების საშუალებით. სერვის-ორიენტირებული მიღებობა, ძირითადად, საინფორმაციო ტექნოლოგიების არქიტექტურის შექმნის სტილია, რომლის იდეოლოგიით, ცალკეულად რეალიზებული სტანდარტული ბიზნეს-ფუნქციები წარმოდგენილია ურთიერთდაკავშირებული ვებ-სერვისების სახით, რომელთა ერთობლივი გამოყენება და გამოძახება ხორციელდება კორპორაციული ან გლობალური ქსელით.

განსაზღვრული ბიზნეს-პროცესების შესრულებისთვის სერვისების გამოძახების თანმიმდევრობის ვიზუალური მოდელირება ხდება ბიზნეს-პროცესების მოდელირების ენის გამოყენებით, თანამეროვე სტანდარტით - ბიზნეს-პროცესების მოდელირების ნოტაცია (Business Process Modeling Notation - BPMN), ხოლო ამ თანმიმდევრობის აღწერა ხორციელდება ბიზნეს-პროცესების შესრულების ენის (Business Process Execution Language-BPEL) გამოყენებით. ბიზნეს-პროცესების შესრულების ენა გამოყენება, ასევე ტექნოლოგიური პროცესების ნაკადებისა (Workflow) და მონაცემთა ნაკადების (Data flow) ლოგიკური სინთეზისა და კოორდინაციის საშუალებად. ტექნიკური გამოყენების თვალსაზრისით, იგი განსაზღვრავს როგორ მოხდეს XML (Extensible Markup Language) შეტყობინების გაგზავნა მოშორებულ სერვისებთან, როგორ

განხორციელდეს XML მონაცემთა სტრუქტურის მართვა და მოშორებული სერვისებიდან XML შეტყობინებათა ასინქრონულად მიღება.

პროგრამული ტექნოლოგიების მწარმოებული თანამედროვე, წამყვანი კომპანიები აქტიურად უჭერენ მხარს სერვის-ორიენტირებული არქიტექტურის, ვებ-სერვისული ინტერფეისებისა და BPEL ენის გამოყენებას.

3.3. ვებ-სერვისი

ინტერნეტი, მასშტაბური ინფორმაციული და მრავალფუნქციური ნაკადების ინფრასტრუქტურა, მოიცავს ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართო სპექტრს. იგი, აერთიანებს მრავალ განსხვავებულ პლატფორმას, პროგრამულ სისტემასა და შეიცავს სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას, რომელიც სხვადასხვა მონაცემთა წყაროდან მიიღება.

ამ პროცესების უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა ვებ-სერვისის კონცეფცია, რაც სარეალიზაციო სისტემის ბიზნეს-ლოგიკის საფუძველია.

ვებ-სერვისის ინტერფეისი არის ინტერნეტული ქსელის ფარგლებში მიღწევადი, სხვადასხვა სახის ქმედებათა ნაკრები (ბიზნეს-პროცესები), რომელიც შედგება პროგრამული საშუალებების კომპლექსისაგან.

ვებ-სერვისი განაწილებული სისტემის აგების ტექნოლოგიაა. იგი შეიცავს პროტოკოლებისა და სტარდარტების ერთობლიობას, რითაც უზრუნველყოფს ვებ-დანართების გამარტივებულ რეალიზაციას. მისი მეშვეობით შევვიძლია გამოვიყენოთ ინტერნეტის მომსახურება და მოვახდინოთ ტრანზაქცია სხვადასხვა სისტემას შორის ბიზნეს-დავალებების შესასრულებლად. ეს ხდება ოპერაციული სისტემების ტიპის, დაპროგრამების ენის, პროგრამული პლატფორმების, პროვაიდერებისა და სხვა პირობებისაგან დამოუკიდებლად.

ვებ-სერვისი კომპონენტზე ორეინტირებული დაპროგრამირების სტილს მიეკუთვნება. მისი არქიტექტურა იყოფა ორ ძირითად ნაწილად: ბაზურ და გაფართოებულ ნაწილებად.

ბაზური არქიტექტურა განსაზღვრავს ე.წ. პროგრამული უზრუნველყოფის აგენტების – სერვისის მომთხოვნება (requesters) და სერვისის მიმწოდებელს (provider) შორის შეტყობინებათა გაცვლის ურთიერთკავშირს. ბაზური არქიტექტურის მუშაობა ვლინდება სამი როლის შესრულებისას: სერვისის დამკვეთი, სერვისის მომხმარებელი და სერვისის რეესტრი. ურთიერთქმედება მოიცავს სერვისის დეკლარაციის, ძიებისა და დაკავშირების (bind) ოპერაციებს.

ბაზური არქიტექტურა ახორციელებს:

- შეტყობინებათა გაცვლას;
- დისტანციური პროცედურის გამოძახების უზრუნველყოფას;
- ვებ-სერვისის მომსახურების აღწერას;
- ვებ-სერვისის მომსახურების რეგისტრაციასა (პუბლიკაცია) და ძიებას.

გაფართოებული არქიტექტურა ძირითადად უზრუნველყოფს:

- ასინქრონულ შეტყობინებებს;
- მონაცემთა გადაცემას დანართის რეჟიმში (attachment);
- იდენტიფიკაციას, შეტყობინებათა კონფიდენციალობასა და

მსგავს ოპერაციებს.


ფიზიკურად ვებ-სერვისი წარმოადგენს სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის ფრაგმენტებს, რომლებსაც უწოდებენ ე.წ. "აგენტებს", რომელთა შესაძლებლობაშია შეტყობინებების მიღება, გადაცემა და პრაქტიკულად, სერვისის ფუნქციონირება.

ვებ-სერვისის ტექნოლოგიის მნიშვნელოვანი მიღწევა არის თავსებადობა. ამ თავსებადობის საფუძველი კი არის XML ფორმატი და ე.წ. ღია სტანდარტები- UDDI (Universal Description, Discovery and Integration), WSDL (Web Services Description Language), SOAP(Simple Object Access Protocol), XML(exteblite Markup Language), რომელთა ფუნდამენტია XML ენა.

ვებ-სერვისის არქიტექტურა დღეს შესაძლებელია ასეთი კლასიფიკაციით ჩამოვაყალიბოთ (ნახ. 3.1.):

UDDI (Universal Description Discovery and Integration) ტექნოლოგია, რომელიც არის სერვისის რეესტრის მართვის ფორმა და ვებ-სერვისის ძიებისა და პუბლიკაციის საშუალება, WSDL(Web Services Description Language) ვებ-სერვისის ინტერფეისის აღწერის ენა, SOAP(Simple Object Access Protocol) შეტყობინებათა გაცვლის რეალიზაციის სტანდარტული პროტოკოლი, რომელიც მოიცავს

XML და HTML ენებს და შეტყობინებათა სატრასპორტო ინფრასტრუქტურა HTTP, SMTP, FTP, IIOP.



ნახ. 3.1. ვებ-სერვისის მართვის ფრაგმენტი

ამ შეტყობინებათა გაცვლა განაწილებულ სისტემაში რეალიზდება:

- ვებ-სერვისების კომუნიკაციის საშუალების პროტოკოლით SOAP (Simple Object Access Protocol) - ობიექტზე წვდომისა და შეტყობინებათა გაცვლის რეალიზაციის მარტივი სტანდარტული პროტოკოლი. იგი უზრუნველყობს სხვადასხვა სტილისა და ფორმის შეტყობინაბათა აღქმას.
- WSDL (Web Services Description Language) ენით, რომელიც შეიცავს მონაცემთა ტიპების, ქსელური პროტოკოლების, სერიალიზების ხერხების, ქსელური წერტილებისა და შეტყობინებების ფორმატებს.

– UDDI (Universal Description, Discovery and Integration) უნივერსალური აღწერის, ძიებისა და ინტეგრაციის ტექნოლოგიით. იგი ვებ-სერვისის რესტრის მართვის ფორმაა და უზრუნველყოფს ვებ-სერვისის აღმოჩენასა და პუბლიკაციას. UDDI არის პლატფორმისაგან დამოუკიდებელი, ლაი ტექნიკური არქიტექტურა, ცენტრალიზებული და ვირტუალური მონაცემთა საცავი, რომელიც შეიცავს მსოფლიოში არსებულ ვებ-სერვისებს, მათი პარამეტრების, ფუნქციებისა და პროცესიების სრული აღწერით.

ვებ-სერვისის ტექნოლოგიაში ინფორმაციის გაცვლის ძირითადი ერთეული არის შეტყობინება, რომლის სტრუქტურა არის XML ფორმატის დოკუმენტი. სერვისის ფუნქციონირება

ხორციელდება სამი ძირითადი ელემენტით: მონაცემთა ტიპის აღწერა, ოპერაციები და კავშირები.

3.4. პროცეს-ორიენტირებული მიღებობა

ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის ავტომატიზაციისთვის და პროგრამული მოდულის რეალიზაციისთვის, პირველადი პროცესი არის ამ სისტემის დაპროექტება და მოდელირება. როგორც წესი, საინფორმაციო სისტემების დაპროექტებასა და მოდელირებაში განიხილება საკვლევი ობიექტის საქმიანი პროცესების (ბიზნეს-პროცესების), ამ პროცესებში მონაწილე როლებისა და რესურსების დამოკიდებულება, ინფორმაციული და ლოგიკური ანალიზი და ა.შ.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ, რაც ამჟამად ინტერნეტ-ტექნოლოგიების მხარდაჭერისკენაა მიმართული, საჭირო გახადა არსებული ობიექტზე ორიენტირებული მიღებობის სრულყოფა პროცესზე ორიენტირებული მიღებობით.

პროცეს-ორიენტირებული მიღებობის საფუძველზე, ფაქტობრივად იცვლება ობიექტ-ორიენტირებული დაპროექტების ძირითადი პრინციპები. მაგალითად, ობიექტ-ორიენტირებული მიღებობის მთავარი ფოკუსი – მონაცემი და საინფორმაციო მოდელი, პროცეს-ორიენტირებულ მიღებობაში იცვლება პროცესითა და საპროცესო მოდელით.

პროცესზე ორიენტირებული დაპროექტების მიმართულება წარმოშვა ვებ-ინტერფეისზე ბაზირებული სისტემების რეალიზაციის

აუცილებლობამ, რაც განაწილებული ექონომიკური სისტემების აგების ახალმა ხედვაშ განაპირობა. ეს ეზება კორპორაციული სისტემების გლობალურ გაფართოებას, განაწილების გეოგრაფიული მასშტაბების ზრდას, დისტანციურ მართვას და ა.შ.

3.5. ბიზნეს-პროცესების მოდელირება

ბიზნეს-პროცესების მოდელირების თვალსაზრისით დღესდღეობით UML ენა მოქნილ ტექნოლოგიად ითვლება. თუმცა, პროცეს-ორიენტირებული და სერვის-ორიენტირებული მიღვომის თვალსაზრისით UML ენის შექნელების მიერ (OMG - ObjectManagementGroup) განვითარდა და დამუშავდა ვიზუალიზაციის სპეციალური დამატებითი ელემენტები, რომელიც ბიზნეს-პროცესების მართვის ნოტაციითა ((BPMN- Business Process Modeling Notation)) ცნობილი.

ბიზნეს-პროცესების მართვის ნოტაციის მთავარი არსი არის ობიექტ-ორიენტირებული მიღვომის ტრანსფორმაცია პროცეს-ორიენტირებულ მიღვომაზე, რაც ბიზნეს-მოდელისა და საინფორმაციო მოდელის სინქრონიზაციის საშუალებას იძლევა.

ბიზნეს-პროცესების მართვის ნოტაცია წარმოადგენს ე.წ. სტანდარტიზაციის ხიდს ბიზნეს - პროცესების დაპროექტებისა და იმპლემენტაციას შორის. ფაქტობრივად, BPMN სტანდარტი პირველ დონეზე ნაწილდება დაპროექტების ძირითადი ასპექტების მიხედვით -

ორგანიზაციული სტრუქტურა, ფუნქციონალური დეკომპოზიცია და
მონაცემთა მოდელი, რომელთა მთავარი ელემენტებია:

1. ობიექტთა ნაკადი. ობიექტთა ნაკადის ფორმირებისას შესაძლებელია ბიზნეს-პროცესის აღწერა ორ დონეზე. პირველი დონე
ეს არის მეტა-მოდელი, ანუ სრული, ზოგადი ბიზნეს-პროცესი, ხოლო
მეორე დონეში აღიწერება პროცესის ცალკეული ეტაპები ანუ
ქვეპროცესები (ნახ. 3.2.-3.3).

მოვლენები	გამოსაზულება
ჩვეულებრივი (plain events)	
შეტყობინება (message events)	
წამზომი (timer events)	
შეცდომა (error events)	
შეწყვეტა (cancel events)	
კომპენსაცია (compensation events)	
ბიზნეს-წესები /პირობები (conditional events)	
ბმული (link events)	
კომპლუქსური (multiple events)	
სიგნალი (signal events)	
შეჩერება (terminate events)	

ნახ.3.2. BPMN ნოტაციის ობიექტთა ნაკადის ელემენტები

BPMN ელემენტები	გამოსახულება		
	ჩვეულებრივი	პარალელური	ციკლური
ქმედება/ოპერაცია	Task	Parallel III	Loop G
ქვე-პროცესი	Subprocess +	Parallel SP + III	Loop SP ± G

ნახ.3.3. BPMN ნოტაციის ელემენტები

2. დამაკავშირებელი ობიექტები და ლოგიკური ელემენტები. აქ განიხილება ეწ. მიმდევრობითობის დიაგრამა, რომელიც განშტოვდება ოპერაციათა ნაკადის, შეტყობინებათა ნაკადის და ასოციაციების სახეობებად (ნახ. 3.4.)

ლოგიკური ელემენტები	გამოსახულება
ლოგიკური „ან“ ოპერატორის გამორიცხვა მონაცემთა მართვისას (Data XOR)	 ან
ლოგიკური „ან“ ოპერატორის გამორიცხვა მოვლენათა მართვისას (Event XOR)	
ლოგიკური „და“ ოპერატორი (AND)	
ლოგიკური „ან“ ოპერატორი (OR)	
ლოგიკური „რთული“ ოპერატორი (COMPLEX)	

ნახ.3.4. BPMN ნოტაციის ლოგიკური ელემენტები

3. როლები, მცოცავი ბილიკებით. იგი, გამოიყენება პროცესებისა და სისტემების დეპომპოზიციისთვის და წარმოადგენს ორგანიზაციული მთლიანობის მოდელს. მისი შემადგენელი ელემენტებია - სივრცე და ბილიკი. როგორც წესი, მცოცავი ბილიკები გამოიყენება ქმედებების დაჯგუფებისთვის ფუნქციებისა და როლების მიხედვით. სივრცეში ხდება ქმედებების ცალკეული მოღულური პროცესების (activities) ჩასმა სხვადასხვა ბიზნეს-არსებისა ან როლების აღწერისთვის, ხოლო ბილიკები წარმოადგენს მოღულური პროცესების ვიზუალურ გამყოფს ე.წ. საზღვარს ცალკეულ ქმედებათა დიაგრამებს შორის (ნახ. 3.5).

როლები	გამოსახულება
სივრცე	
ბილიკი	


ნახ.3.3. BPMN ნოტაციის როლური ელემენტები

4. სელოვნური ობიექტები - მონაცემთა ობიექტები, ჯგუფები და ანოტაცია.

ბიზნეს-პროცესების მოდელირების ნოტაცია (BPMN- Business Process Modeling Notation) საშუალებას იძლევა აიგოს როგორც სისტემის საქმიანი პროცესების ცალკეული მოდელები, ისე პროექტების მართვის დოკუმენტბრუნვისა და საქმეთა წარმოების პროცესების ინტეგრაციური სურათი ანუ განზოგადებული მეტა-მოდელი.


ბიზნეს-პროცესების მოდელირებისა და შესრულების ენები საშუალებას იძლევიან გრაფიკულად აიგოს გამჭოლი ბიზნეს-პროცესები. არსებობს სამი ძირითადი ტიპი გამჭოლი მოდელის ქვემოდელების ფარგლებში:

1. კერძო (შიგა) ბიზნეს-პროცესი, რომელიც აღწერს ტექნოლოგიურ პროცესს ანუ საქმიან ნაკადს. კერძო ბიზნეს-პროცესის მოდელის ფრაგმენტი წარმოდგენილია ნახაზზე 3.6.



ნაზ.3.4. კერძო ბიზნეს-პროცესის მოდელის ფრაგმენტი


2. აბსტრაქტული (ღია) ბიზნეს-პროცესი. იგი, აღწერს დამოკიდებულებას ორ ან მეტ კერძო პროცესს შორის ან პროცესსა და რესურს შორის. აბსტრაქტულად ითვლება, მხოლოდ ის პროცესები, რომელთა ქმედება აუცილებლად უკავშირდება კერძო ბიზნეს-პროცესს. ამდენად, აბსტრაქტური პროცესი ასახავს იმ შეტყობინებათა გადაცემის თანამიმდევრობას, რომლებიც ურთიერთქმედებენ კონკრეტულ ბიზნეს-პროცესთან (ნახ. 3.7).



ნახ. 3.5. აბსტრაქტული ბიზნეს-პროცესის მოდელის ფრაგმენტი

3. ერთობლივი (გლობალური) ბიზნეს-პროცესი, რომელიც ასახავს ურთიერთქმედებას ორ ან მეტ ბიზნეს-ობიექტს შორის და

აერთიანებს აბსტრაქტურ ბიზნეს-პროცესებს. იგი წარმოადგენს ფაქტობრივად მეტა-მოდელს, რომელიც ქმნის კონკრეტული ბიზნეს-სტრუქტურის ერთიან სურათს (ნახ. 3.8).



ნახ. 3.6. ერთობლივი ბიზნეს-პროცესის მოდელის ფრაგმენტი

ბიზნეს-პროცესების მოდელირებისა და შესრულების ენგენიერების მოდელირების ძირითად სემანტიკურ ერთეულად განიხილება ოპერაციები და შეტყობინებები, რის შედეგადაც წარმოებს დანართების სხვადასხვა ფუნქციონალური მოდულების ანუ სერვისების ურთიერთკავშირი. ბიზნეს-პროცესების რეალიზაციის ენის საფუძველზე წარმოებს ორგანიზაციული პროცესების დოკუმენტაცია, ვიზუალიზაცია, მათი კომუნიკაციის მხარდაჭერა და თავსებადობა ვერვისული და სერვის-ორიენტირებული მიღობის ფარგლებში.

ბიზნეს-პროცესების მოდელირების ნოტაციაში პრიორიტეტულია მოდელირების გრაფიკული ელემენტების ვიზუალური მხარე და დიაგრამების თავსებადობა. ამ თავსებადობის საფუძველი არის ბიზნეს-პროცესების მოდელირების ენა (BPML - Business Process Modeling Language) და ბიზნეს-პროცესების შესრულების ენა (BPEL - Business Process Execution Language), რომელიც ბაზირებულია XML (Extensible Markup Language) ენაზე და წარმოადგენს ბიზნეს-პროცესების გრაფიკულად ასახვისა და მათი ურთიერთქმედების პროტოკოლების ფორმალური აღწერის ენას, რაც ბიზნეს-მოდელისა და საინფორმაციო მოდელის სინქრონიზაციის საშუალებას იძლევა [3].

ბიზნეს-პროცესების მოდელირების ნოტაციის ინსტრუმენტულ საშუალებად დღესდღეობით არსებული და განვითარებადი სისტემებია: Business Process Visual Architect, Active Modeler Avantage, ILOG JViews BPMN Modeler და ა.შ.

IV თავი. მლ-ბიზნესისა და მლ-კომერციის სისტემების

WEB-აპლიკაციების აგენტის ტექნოლოგიები

4.1. XML – გაფართოებული ფორმატირების

შესახებ

XML (eXtensible Markup Language) არის გაფართოებული ფორმატირების ენა, რომელიც HTML (Hypertext Markup Language) ჰიპერტექსტების ფორმატირების ენის გაფართოებული ვარიანტია.

დოკუმენტების (ვებ-გვერდების) ფორმატირების ენის ბაზისი არის SGML (Standart Generalised Markup Language) სტანდარტული საერთო ფორმატირების ენა, რომელიც შექმნილია W3C (World Wide Web Consortium) გაერთიანების მიერ. იგი შეიქმნა 1994 წელს თიმ ბერნეს ლი-ს ხელმძღვანელობით და მისი მიზანია ინტერნეტ-ტექნოლოგიების, ვებ-ენის (HTML, XML, XHTML, CSS, SMIL, SVG) ფორმალური სტრუქტურებისა და პროტოკოლების სტანდარტიზაციის ჩამოყალიბება, მართვა და გაფართოება.

ზოგადად, დოკუმენტების ფორმატირების ენა არის სპეციალური ინსტრუქციების ერთობლიობა და აღწერს სტრუქტურიზებულ მონაცემებს, ახდენს დოკუმენტებში არსებული ინფორმაციის ორგანიზებას და გადმოსცემს ამ ინფორმაციას სტანდარტული ფორმატით.

სპეციალური ინსტრუქციების ერთობლიობას ეწოდება ეწ. ტეგი ანუ მართვის დესკრიპტორი, რომლის პროგრამული სინტაქსი გამოისახება სიმბოლოებით:

<> - ტეგის დაწყება

</> - ტეგის დასრულება

ტეგი განკუთვნილია დოკუმენტში სტრუქტურის ფორმატისათვის და განსაზღვრავს ამ სტრუქტურის სხვადასხვა ელემენტს შორის დამოკიდებულებას.

SGML ჯგუფის შედარებით მარტივი და მოხერხებული წარმატება იყო HTML. მისი შექმნის ძირითადი მიზანი, ინტერნეტსა და განაწილებულ ქსელში ინფორმაციის ორგანიზება იყო.

დოკუმენტის პიპერტექსტული მოდელის გამოყენებამ ქსელში სხვადასხვაგარი ინფორმაციული რესურსის წარმოდგენის ხერხები მეტად მოწესრიგებული გახადა, მომხმარებლისთვის კი დამუშავდა ძებნის გამარტივებული მექანიზმი.

HTML-ს აქვს ინსტრუქციების (ტეგების) შემოსაზღვრული ერთობლიობა, რითაც შესაძლებელია აღიწეროს დოკუმენტების სტრუქტურები (დასახელება, სათაური, სია, აბზაცი და ა.შ.) და ამ სტრუქტურების გამოსახულება (ფონტის ზომა, შრიფტი, ფერი და ა.შ.). შესამაბისად HTML-ტეგები განსაზღვრავს დოკუმენტის ელემენტების გაფორმებას და მართავს დოკუმენტის შინაარსის გამოტანას მომხმარებლის ეკრანზე.

პიპერტექსტების ფორმატირების ენა მიეკუთვნება ღია სტანდარტის ტექნოლოგიათა ჯგუფს და უზრუნველყოფს ტექსტური და გრაფიკული ინფორმაციების მხოლოდ სტატიკურ აღწერას და მონაცემთა გამოტანას ბრაუზერის ფანჯარაზე.

თუმცა, დოკუმენტის წარმოდგენის სახე შესაძლებელია შეიცვალოს ერთი მომხმარებლის ეკრანიდან ბმულით, მეორეზე გადასვლისას, რადგან ამ ენის შესაძლებლობაში არ შედის

დოკუმენტის სტრუქტურისა და შინაარსის აღწერა. რა თქმა უნდა, HTML ენა თანდათან იზგეწება და ხდება მისი განახლება მონაცემთა დინამიკური აღწერით (DHTML, JavaScript, VBScript). მიუხედავად ამისა თანამედროვე ტექნოლოგიებმა გამოავლინა ამ ენის რიგი ნაკლოვანებები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია:

1. სტანდარტული, შემოსაზღვრული ტექნიკა;
2. ელემენტების მხოლოდ სტატიკური აღწერა (შეუძლებელია, ერთმანეთთან დაკავშირებული რესურსების ძიება);
3. არ აღიწერება დოკუმენტის წარმოდგენის სემანტიკური მხარე (მაგალითად, საძიებო სისტემა, ქებნის ბრძანების შესრულებისას, ემებს მხოლოდ სიტყვას და არა მის ლოგიკურ შინაარსს);
4. მონაცემთა რთული სტრუქტურის მხარდაჭერა (მაგალითად, ობიექტ-ორიენტირებული იერარქიის განსაზღვრა და მონაცემთა ბაზიდან ინფორმაციის წარმოდგენა).

ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრას ემსახურება XML ენა. იგი სტრუქტურული მონაცემების ენა, სტანდარტი და ფორმატია, რომელიც აღწერს მონაცემთა ობიექტების მთელ კლასს, რომელსაც XML-დოკუმენტებს უწოდებენ.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახადა ინტერნეტის გამოყენება, არა მხოლოდ დოკუმენტების წარმოდგენით და მარტივი ბმულების კომბინაციებით, არამედ რთული საქმიანი პროცესებისა და სხვადასხვა პროგრამული კომპლექსის ურთიერთქმედებით, რისი საფუძველიც XML ენაა.

პრაქტიკულად XML ენა არის დოკუმენტების აღწერის მეტაენა Web- გვერდებისათვის, რომლითაც შესაძლებელია ნებისმიერი სახის დოკუმენტის პლატფორმის გარეშე ტრანსფორმაცია.

XML დოკუმენტი არის ჩვეულებრივი ტექსტური ფაილი, რომელშიც სპეციალური ტეგების საშუალებით იქმნება მონაცემთა ელემენტები, რომელთა მიმღევრობასა და განლაგებას განსაზღვრავს დოკუმენტის შინაარსი და სტრუქტურა. მის ძირითად ღირებულებას წარმოადგენს დოკუმენტების დამუშავებისა და შექმნის ადვილი ხერხი (ჩვეულებრივი ტექსტის რედაქტირება შეიძლება ნებისმიერი ტექსტური პროცესორით), ახალი ტეგების განსაზღვრა სპეციალურად ცხრილების, ატრიბუტებისა და მათი შინაარსის ასაღწერად რელაციური ბაზის სტრუქტურაში. ამავე დროს შესაძლებელია ცხრილებისა და ატრიბუტების ასაგები ტეგების კავშირი დაცუ-ცხრილებთან. XML ენა ასევე არ კრძალავს განმეორებად ჯგუფებს და მონაცემთა რთულ სტრუქტურას [46].

როგორც ცნობილია, ნებისმიერი ენის განსაზღვრა ნიშნავს მისი გრამატიკისა და სიტყვათა ლექსიკონის დადგენას. ასეთ ფუნქციას XML ენაში DTD (Document Type Definition) ასრულებს. ესაა დოკუმენტის ტიპის განსაზღვრის ინსტრუმენტი, რომელიც XML-ში აღწერს მის ელემენტებსა და ატრიბუტებს. DTD ფორმატი განსხვავდება XML- ფორმატისგან და შეინახება ცალკე ფაილში ან უშუალოდ XML- დოკუმენტში.

XML დოკუმენტის დაფორმატების საშუალებას იძლევა XSL (eXtensible Stylesheet Language) სტილური ცხრილი. ის იძლევა

ბრაუზერის ექრანზე ელემენტების გამოსახვის პროცესის მართვის და დოკუმენტების საჭირო ფრაგმენტების ძიების საშუალებას. სტილური ცხრილების დოკუმენტი მოიცავს აგების წესების ერთობლიობას, რომელთაგან თითოეული დაყოფილია ცალკეულ ბლოკად, ორგანიზაციული ტეგებით [1].

4.2. სისტემა ebXML

უნივერსალურად დამუშავებული ფორმებისა და სტანდარტების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს სისტემა ebXML (Electronic Business using eXtensible Markup Language - ელექტრონული ბიზნესი გაფართოებული ფორმატირების ენის გამოყენებით), რომელიც განკუთვნილია B2B (ბიზნეს-ბიზნესი) პლატფორმისთვის და წარმოადგენს ელექტრონული ბიზნესის წარმოების ხელშემწყობ სისტემას. იგი ქმნის საქმიანი პროცესებისა და დოკუმენტების უნივერსალურ სტრუქტურას XML ენის ბაზაზე [3].


ebXML წარმოადგენს ფუნქციონალური სპეციფიკაციების მოდულურ ერთობლიობას, რომლის საშუალებითაც ნებისმიერი მასშტაბის საწარმოებს შესაძლებლობა აქვთ ნებისმიერი გეოგრაფული ადგილით განახორციელონ ბიზნეს-დოკუმენტაცის წარმოება.

ფაქტობრივად, ebXML პროექტის მიზანია ბიზნეს-მოდელის გარდაქმნა შეტყობინების მოდელად და ერთიანი ელექტრონული

გლობალური ბაზრის შექმნა, სადაც ბიზნეს-ტრანზაქციების შესასრულებლად გათვალისწინებულია:

- სარეგისტრაციო ჟურნალისა და საცავის ფუნქციონირება, სადაც გროვდება განაწილებული ბიზნეს-სერვისები და ნდება ამ სერვისების ინტერფეისებთან, საინფორმაციო მოდელებთან და საძიებო სისტემებთან წვდომის უზრუნველყოფა;
- ბიზნეს-პროცესებისა და მონაცემთა ძირითადი კომპონენტების მოდელის აგება, ბიზნეს-მხარეების ურთიერთქმედების პროტოკოლური პროფილის განსაზღვრა და შეტყობინებათა გადაცემის რეჟიმის უზრუნველყოფა (ნახ. 4.1). ფუნქციონალური შესაძლებლობების თვალსაზრისით ebXML ანხორციელებს:

- ბიზნეს-პროცესებისა და დოკუმენტების მოდელირებას;
- მონაცემთა გადაცემას ზოგად ფორმატში;
- სავაჭრო პროფილების განსაზღვრასა და საწარმოთაშორისი ურთიერთობების გაფორმებას;
- საწარმოთა რეგისტრაციას, რეკლამას, ბიზნეს-პატნიორების მოპოვებას;
- ბიზნეს-შეტყობინებათა მომზადებასა და გადაგზავნას სემანტიკურად დაცულ გარემოში;
- საკუთარი დაცული და ჩაკეტილი ბიზნეს-სისტემების შექმნას. ebXML – ში ბიზნეს-ტრანზაქციის შესრულება ტექნიკური კუთხით აღიწერება – XML-ენაზე, სადაც შესაძლებელია ბიზნეს-პროცესის განსაზღვრა რომელიც მოიცავს ბიზნესის სცენარს, პროფილს, ლოგიკას, დოკუმენტებს და ა.შ [1].



ნახ.4.1. ebXML სისტემის ფუნქციონალური სტრუქტურის ფრაგმენტი

4.3. ვებ-დანართების რეალიზაცია

ვებ-დანართების სარეალიზაციოდ, დღესდღეობით აქტიურ გამოყენებაშია Java (Java NetBeans) და Microsoft .Net პლატფორმები. Java NetBeans სისტემა Sun Microsoft Systems კორპორაციისა და NetBeans გაერთიანების მიერ შექმნილი Java ტექნოლოგიის ავტომატიზებული სისტემების დამუშავების ინტეგრირებული გარემო (IDE), რომელიც წარმოადგენს მრავალფუნქციონალური დანართების ერთობილიობას და უზრუნველყოფს Java Platform Standard Edition

(Java SE), Java Platform Enterprise Edition (Java EE) და Java Platform Micro Edition (Java ME) პლატფორმების კომპლუქსურ მხარდაჭერას. Java NetBeans შეიცავს პროგრამული ინსტრუმენტების ფართო სპექტრს, მათ შორის აღსანიშნავია ვიზუალური პროგრამირების, სერვის-ორიენტირებული არქიტექტურის დანართების (XML, BPEL), პირდაპირი და რევერსიული დაპროექტებისთვის (BPD, BPMN, UML) მოდელური არქიტექტურის (Model-driven architecture MDA) ინსტრუმენტული საშუალებები.

ვებ-სერვისებისა და ვებ-დანართების შექმნისა და განთავსების მოქნილი საშუალებაა Microsoft .NET Framework - პლატფორმა, რომელიც ბაზირებულია მაღალმწარმოებული, სხვადასვა პროგრამული ენების გამოყენების სტანდარტზე, ასევე მისი ერთ-ერთი ღირებულებაა არსებული ვებ-დანართებისა და ვებ-სერვისების ინტეგრაციის შესაძლებლობა ახალ პროექტში. .NET Framework შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან - საერთო ენობრივი გამოყენების გარემო (common language runtime), კლასების უნიფიცირებული ბიბლიოთეკა და ASP კომპონენტური ვერსია - ASP.NET.

ASP.NET (Active Server Pages - აქტიური სერვერული გვერდები) - .NET ტექნოლოგიის ნაწილია, რომელიც გამოიყენება მასშტაბური კლიენტ-სერვერული ვებ-დანართების სარეალიზაციოდ. ინტერაქტიული ვებ-საიტის ადვილად შესაქმნელად, იგი, შეიცავს მზა მართვის ელემენტების სიმრავლეს და შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას დინამიური HTML გვერდები.


ASP.NET-ის დამუშავების დროს მისაწვდომია .NET-ის ყველა კლასი, სპეციალური კომპონენტები, შექმნილი C# ან სხვა ენებზე, მონაცემთა ბაზები და ა.შ. ფაქტობრივად, სახეზეა ყველა ის შესაძლებლობა, რომელსაც იყენებს C# დანართის აგებისას. C#-ის გამოყენება ASP.NET-ში უფრო გავრცელებულია ვარა მარტივი.

ASP.NET ფაილი შეიძლება შეიცავდეს ინსტრუქციების დამუშავებას სერვერისთვის, C#, VB.NET, Jscript.NET ან სხვა პროგრამული ენების კოდებს, რომელთა მხარდაჭერა ხდება .NET პლატფორმით, ნებისმიერი ფორმის შინაარსს, რომელიც გენერირდება რესურსის სახით HTML-ით, ASP.NET -ის ჩადგმული სერვერული მართვის ელემენტებს და ა.შ.

4.4. XML ენის ინსტრუმენტების საშუალება XML Spy

დღესდღობით ცნობილია XML ენის მრავალი რედაქტორი. მათ შორის, აღსანიშნავია Altova (www.Altova.com) ჯგუფის მიერ წარმოებული XML ენის რედაქტორი XML Spy Suite, რომელიც შეიცავს, XML Spy IDE (XML და DTD), XSLT Designer პაკეტებს.

მაგალითის სახით, განვიხილოთ პროდუქციის ელექტრონული "კატალოგის"-ის შექმნა ელექტრონული მაღაზიის ვებ-გვერდისთვის. საწყის ეტაპზე XML Spy IDE პაკეტში იქმნება დოკუმენტის წყარო-XML ფაილი (File-New-XML Document, ნახ.4.2).



ნახ. 4.2. XML დოკუმენტის შექმნის დიალოგური ფანჯარა

"Text view" - ღილაკით, გადავდივართ ტექსტური ფორმატის ფანჯარაში, სადაც ვახდენთ დოკუმენტის შინაარსის აღწერას და ვიმახსოვრებთ XML ფაილს (სურ. 4.3.).

მიღებული XML დოკუმენტის ბაზაზე ვახდენთ დოკუმენტის ქონვერტაციას, ვაგენერირებთ DTD ფაილს (DTD/Schema-Generate DTD-DTD - ნახ. 4.4, 4.5) და ვიმახსოვრებთ გაფართოებით – ***.dtd.


XML shekvetा *

```
<?xml version="1.0" encoding="UTF-8"?>
<ROOT>
    <TITLE>შეკვეთა </TITLE>
    <პრინტერი>
        <დასხელება>პრინტერი</დასხელება>
        <ფასი>250 </ფასი>
        <ერთეული>GEL</ერთეული>
        <რაოდენობა>1</რაოდენობა>
        <ტიპი>Personal LaserJet</ტიპი>
        <მწარმოებელი>HP</მწარმოებელი>
    </პრინტერი>
    <დამკვეთი>
        <ორგანიზაცია>მ.ც.ს. "XXX"</ორგანიზაცია>
        <მისამართი>
            <ქვეყანა>Georgia</ქვეყანა>
            <ქალაქი>Tbilisi</ქალაქი>
            <ქუჩა>xxx</ქუჩა>
            <ტელ>xxx</ტელ>
        </მისამართი>
    </დამკვეთი>
    <შესყიდვა>
        <ანგარიშსწორება>ნაღდი</ანგარიშსწორება>
        <თარიღი>22.02.2009</თარიღი>
    </შესყიდვა>
</ROOT>
```


This file is well-formed. Please note: you can also validate an XML file against its document type definition.

OK

ნახ.4.3. XML დოკუმენტის ფრაგმენტი




ნახ.4.4. XML დოკუმენტის DTD ფაილის გენერაცია




ნახ.4.5. გენერირებული DTD ფაილის ფრაგმენტი

შემდეგ ეტაპზე, აღწერილი ელემენტების მიხედვით ელექტრონული დოკუმენტის დიზაინის დამუშავებისა და ვებ-გვერდის სარეალიზაციოდ ვახდენთ ***.dtd ფორმატის ფაილის გახსნას, XSLT Designer ჰაკეტში და ***.xml ფაილის მიმას დოკუმენტზე (მენიუდან File-Assign Working XML Files). იხსნება აღწერილი ელემენტების ხე (ნახ. 4.6.ა-ბ). დოკუმენტის დიზაინის ფანჯარაში ჩნდება ბლოკი contents - , სადაც ვახდენთ ხის ელემენტების სათითაოდ გადატანას, ჩასმას, სასურველი შინაარსის შერჩევასა (მაგ., Table, ComboBox და ა. შ.) და გაფორმებას.



ნახ.4.6. ა) დოკუმენტის დიზაინის დამუშავების ფანჯარა XSLT Designer ჰაკეტში



ნახ.4.7. ბ) დოკუმენტის დიზაინის დამუშავების ფრაგმენტი XSLT Designer პაკეტში

გაფორმებულ დოკუმენტს XSLT Designer პაკეტი ინახავს გაფართოებით - ***.sps, და დამატებით ვიმახსოვრებთ ასევე გაფართოებით ***.sxlt (მენიუში File, ფუნქცია – save Generated XSLT File), რისი საშუალებითაც სისტემა ავტომატურად ახდენს დოკუმენტის გენერაციას html ფორმატში სახელით – gen.html.

XSLT Designer პაკეტი შეიცავს სამ რეჟიმს: დიზაინერი (Design), XSLT კოდი, რომელსაც ავტომატურად ქმნის სისტემა (XSLT Stylesheet) და პირველადი გადახდევა (IE Preview).

აღსანიშნავია, რომ XSLT Designer პაკეტში შეუძლებელია XSLT კოდის ცვლილება. XSLT კოდისა და დოკუმენტის დამატებითი

ცვლილებისათვის ***.xml, ***.sps და ***.xslt შენახული ფაილები უნდა გაიხსნას XML Spy IDE პაკეტი, რათა მოხდეს მათი ტრანსფორმაცია და გადამუშავება (მენიუდან XSL – Assign XSL).

ჩვენს მიერ დამუშავებული და რეალიზებული დოკუმენტის - gen.html ფრაგმენტი წარმოდგენილია სურათზე 4.7.

The screenshot shows a Windows application window titled "გეკეთა". The window contains several input fields and dropdown menus:

- პროდუქცია**
 - დასახელება: [empty text field]
 - ფასი: [empty text field] GEL
 - რაოდენობა: [empty text field]
 - ტიპი: [dropdown menu]
 - მწარმოებელი: HP
- დამკვეთი**
 - ორგანიზაცია: [empty text field]
 - მისამართი:
 - ქვეყანა: Georgia
 - ქალაქი: [empty text field]
 - ქუჩა: [empty text field]
 - ტელ.: [empty text field]
- შესყიდვა**
 - ანგარიშსწორება:
 - ნაღდი:
 - უნაღდო:
- თარიღი:** [empty text field]


ნახ.4.8. gen.html დოკუმენტის ფრაგმენტი

4.5. ელ-ბიზნესისა და ელ-კომპიუტის სისტემებისთვის გებ-სმრგისების შექმნა და გამოყენება .NET-სისტემაში


განვიხილოთ ვებ-ფორმის, ვებ-სერვისის შექმნა და ვებ-ფორმაში გებ-სერვისის ასახვა .NET სისტემაში. ამისათვის, თავდაპირველად იქმნება ASP.NET ვებ-აპლიკაცია (პროექტი).

ASP.NET ვებ-აპლიკაციის შესაქმნელად .NET სისტემაში ვასრულებთ შემდეგ ოპერაციებს:

1. პროგრამების პანელიდან ვირჩევთ: Start - Programs - Microsoft Visual Studio .NET 2003/2005;
2. პროგრამის გაშვების შემდეგ ვირჩევთ მენიუს პუნქტს: File - New - Project- Visual C# Project- ASP.NET Web Application (ნახ. 4.8-4.9).



ნახ.4.9.



ნახ.4.10.

შექმნილი პროექტი შეიცავს რამდენიმე ფაილს:

`AssemblyInfo.cs` - აპლიკაციის შესახებ საინფორმაციო

ფაილი;


`Global.asax` - აპლიკაციის მოვლენების მართვის ფაილი;

`Web.config` - აპლიკაციის კონფიგურაციის მონაცემების XML ფაილი;

`WebForm1.aspx` - ვებ-გვერდის სარეალიზაციო ფორმა ვიზუალური ელემენტების გამოყენებით ე.წ. დიზაინის გვერდი;

`WebForm1.aspx.cs` - ვებ-გვერდის სარეალიზაციო ფორმა ლოგიკური ელემენტების გამოყენებით, სადაც ასახულია დიზაინის გვერდის ვიზუალური ელემენტების შესაბამისი პროგრამული კოდი.

ვებ-ფორმის დიზაინის გვერდი შეიცავს HTML სტატიკურ და ASP.NET -ის სერვერული მართვის საშუალებებს (ნახ. 4.10).



ნახ.4.11. ვებ-ფორმის დიზაინის გვერდი

WebForm.aspx ფანჯარა შეიცავს ვებ-გვერდის გაფორმების ვიზუალურ კომპონენტებს, რომლებიც ნაწილდება ინსტრუმენტულ პანელში რამდენიმე ბლოკად:

Data - მონაცემებთან სამუშაოდ, მონაცემთა ბაზის სისტემასთან დასაკავშირებელი ელემენტები და ა.შ.

Web Forms - სერვერული ელემენტების ვიზუალური კომპონენტები;

HTML- HTML ენის სტანდარტული ელემენტები.


ვებ-ფორმაში, თითოეული ვებ-გვერდის აწყობისთვის გამოიყენება HTML და C# კოდირების კომბინირებული ვარიანტები.

მაგალითის სახით განვიხილოთ B2B მოღვალის გარიანტი, რომლის სტრუქტურა ძირითადად სასურველია მოიცავდეს და აკმაყოფილებდეს შემდეგ პუნქტებს:


- ინტერაქტიული ვებ-საიტი;
- ბეჭ-ოფისი (დოკუმენტბრუნვის უზრუნველყოფა დილერებს, პარტნიორებსა და კლიენტებს შორის);
- პრეისკურანტები/ელექტრონული კატალოგი;
- შეკვეთების ორგანიზება და მიწოდების სერვისი;
- პროდუქციის მიმწოდებლებთან თანამშრომლობა;
- მარკეტინგის სამსახური.

ნახაზებზე 4.11 და 4.12 ნაჩვენებია საწყისი გვერდი, რომელიც შეიცავს საიტის ნავიგაციას (ბმულები ვებ-გვერდებთან კავშირისთვის) და საიტზე შეკვეთის გაფორმების ფორმას ბმულით "შეკვეთა".

საიტის ნავიგაციის სარეალიზაციოდ, შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც HTML/Jscript კოდი, ისე სპეციალურად შექმნილი XML ფორმატის ფაილი და პროგრამული კოდი.



ნახ.4.12. საიტის საწყისი გვერდის ფრაგმენტი



ნახ.4.13. შეკვეთის გაფორმების ფრაგმენტი

ბმულით (Hyperlink) ვებ-გვერდების გამოსაძახებლად ვებ-ფორმის დიზაინერში გადაკლიკართ ბლოკში HTML, რომლის სინტაქსი შემდეგნაირია:

```
<asp:hyperlink id="HyperLink_Registr" NavigateUrl="Registracion.aspx"
style="Z-INDEX: 108; LEFT: 52px; POSITION: absolute; TOP: 194px"
runat="server" Height="16px" Width="69px" Font-Size="XX-Small">
რეგისტრაცია</asp:hyperlink>
```

ხოლო, ღილაკით (Button) ვებ-გვერდის გამოძახების შემთხვევაში, ღილაკის მეთოდში ვწერთ შემდეგ ბრძანებას:

```
private void Button_shekveta_Click(object sender, System.EventArgs e)
{
    Response.Redirect("Order.aspx");
}
```

ვებ-გვერდის ელემენტების ყველა ტეგი ვებ-ფორმის HTML ბლოკში იწყება პრეფიქსით <asp:, რაც ნიშნავს, რომ ASP .NET-ის ელემენტები განსხვადება HTML-ის ელემენტებისგან, ისინი განთავსებულია სერვერზე, ხოლო HTML-ის ჩვეულებრივი ელემენტები გამოიყენება მხოლოდ კლიენტზე ვებ-გვერდების აწყობისთვის.

შეკვეთის ვებ-გვერდი შეიცავს პროდუქციის შეძენისთვის შეკვეთაზე ხელშეკრულების, ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებისა და საკრედიტო ბარათით თანხის გადახდის სერვისებს.

განვიხილოთ, საკრედიტო ბარათის შემოწმების ოპერაცია, შემდეგი ლოგიკით: თუ მიმდინარე თარიღისთვის მითითებული საკრედიტო ბარათი ვარგისია, ეკრანზე გამოდის შეტყობინება “მადლობთ, ჩვენი პროდუქციის შეძენისთვის”, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის შეტყობინება “სცადეთ თავიდან”.

ამ ოპერაციის სარეალიზაციოდ, ვებ-ფორმის დიზაინერში განვათავსოთ კომპონენტები (Calendar- CurrentData, TextBox-Card, Label-Status, Button-PlaceOrder).

Button-PlaceOrder ღილაკზე ორჯერ დაწკაპუნებით გადავდივართ პროგრამული კოდის რეჟიმში, სადაც ვწერთ შემდეგ მეთოდს:

```
private void PlaceOrder_Click(object sender, System.EventArgs e)
{
    if(Validate(TextBox1.Text, Calendar1.SelectedDate))
    {
        Status.Text="მადლობთ, ჩვენი პროდუქციის შეძენისთვის";
    }
    else
    {
        Status.Text="შეცდომაა, სცადეთ თავიდან";
    }
}
```

“Button-PlaceOrder” ღილაკის მეთოდის შემდეგ იწერება მეთოდი “Validate”:

```


public bool Validate(string cardNumber, DateTime expDate)
{
    if(expDate>=DateTime.Today)
    {
        int total=0;
        int temp=0;
        char [] ccDigits=cardNumber.ToCharArray();
        for (int i=0; i<cardNumber.Length; i++)
        {
            if(((i+1)%2)==0)
                (total += int.Parse(ccDigits[i].ToString()));
            else
            {
                temp=int.Parse(ccDigits[i].ToString())*2;
                if(temp>9)
                    (temp=(int)temp-9);
                total+=temp;
            }
        }
        if ((total%10)==0)
            {return true;}
        else
            {return false;}
    }
    else
        {return false;}
}

```

მედეგი ნაჩვენებია ნახაზებზე 4.13 და 4.14.



ნაზ.4.14. საკრედიტო ბარათის შემოწმების ოპერაციის
ფრაგმენტი 1



ნახ.4.15. საკრედიტო ბარათის შემოწმების ოპერაციის ფრაგმენტი 2

ახლა, განვიხილოთ მეთოდის “Validate” გარღაქმნა ვებ-სერვისად და შეძლვომ მისი ასახვა ჩვენს ვებ-ფორმაში.

ვებ-სერვისის შექმნა წარმოებს ფუნქციით Add New Item-Web Service. ვადაცდივართ პროგრამული კოდის რეჟიმში ბმულით – click here to switch to code view და პროგრამული კოდის ბოლო ნაწილში ვამატებთ მეთოდს “Validate” (შენიშვნა: ჩვენს მიერ შექმნილ ვებ-

ფორმაში ეს მეთოდი წაშალეთ). მეთოდის “Validate” ზემოთ ვამატებთ ფუნქციას [WebMethod]:

```
[WebMethod]
public bool Validate(string cardNumber, DateTime expDate)...
```

შედეგი ნაჩვენებია ნახაზებზე 4.15. და 4.16.



ნაზ.4.16. ვებ-სერვისად გარდაქმნილი “Validate” მეთოდის ფრაგმენტი

CreditCard Web Service - Microsoft Internet Explorer

Address Go Links >

CreditCard

Click [here](#) for a complete list of operations.

Validate

Test

To test the operation using the HTTP POST protocol, click the 'Invoke' button.

Parameter	Value
cardNumber:	1234562121
expDate:	2/2/2045

SOAP


The following is a sample SOAP request and response. The **placeholders** shown need to be replaced with actual values.

```
POST /WebApplication2/CreditCard.asmx HTTP/1.1
<?xml version="1.0" encoding="utf-8"?>
<soap:Envelope xmlns:soap="http://schemas.xmlsoap.org/soap/envelope/">
<soap:Body>
<Validate>
<cardNumber>1234562121</cardNumber>
<expDate>2/2/2045</expDate>
</Validate>
</soap:Body>
</soap:Envelope>
```

Done Local intranet


ნახ.4.17. ვებ-სერვისად გარდაქმნილი “Validate” მეთოდის შესრულების ფრაგმენტი

განვიხილოთ, ვებ-სერვისის გამოყენება ჩვენი პროექტის ვებ-ფორმაში. პირველ რიგში აუცილებელია ვებ-სერვისის მიერთება პროექტში. ამისათვის ვხსნით დიალოგურ ფანჯარას Add Web Reference, ფუნქციით Project-Add Web Reference და ვეღვით URL ვუთითებთ ვებ-სერვისის მისამართს (ნახ. 4.17-4.18).



ნახ.4.18. დიალოგური ფანჯარა Add Web Reference

ჩვენს შემთხვევაში, გამოსაყენებელი ვებ-სერვისი განთავსებულია ლოკალურ ქსელში, ამიტომ ვაჭერთ ბმულს – web services on the local machine. ფანჯარაში გამოდის სერვისების ჩამონათვალი. ვირჩევთ შესაბამისად ვებ-სერვისს – “CreditCard”, ფანჯრის მარჯვენა ნაწილში ჩნდება სერვისი - “CreditCard” და ვებ-ბმული – “localhost” ველში – Web reference name. ვაჭერთ ღილაკს “Add Reference”.




ნახ.4.19. ვებ-სერვისის არჩევის დიალოგური ფანჯარა

გადავდივართ ვებ-ფორმის- Button-PlaceOrder ღილაკის პროგრამულ კოდში. ღილაკის ძველ მეთოდს ვცვლით შემდეგნაირად:


```
private void PlaceOrder_Click(object sender, System.EventArgs e)
{
    localhost.CreditCard cc= new localhost.CreditCard();
    if(cc.Validate(textBox1.Text,Calendar1.SelectedDate))
    {Status.Text="მაღლობთ, ჩვენი პროდუქციის შეძენისთვის";}
    else
    {Status.Text="შეცდომაა, სცადეთ თავიდან";}
}
```

ვებ-გვერდების რეალიზაციისას ერთ-ერთი აუცილიებელი მოთხოვნაა უნიკოდური სტანდარტის გამოყენება, რაც შესაძლებელს ხდის თავიდან ავიცილოთ ფონტის ცვლილებები ვებ-გვერდებზე.

ქართული უნიკოდის გამოყენების შემთხვევაში Microsoft .NET სისტემა მოითხოვს შენახვის სპეციალურ ფორმას ფუნქცით Save as - Save with Encoding, რომლის გამოძახებაც ხდება Save File As დაილოგური ფანჯრის ქვედა მარჯვნა კუთხეში Save გარდნადი მენიუს ღილაკით (ნახ. 4.19). შედეგად, ეკრანზე გამოდის ფანჯარა – Advanced Save Options (ნახ. 4.20), რომლის ველში “Encoding”, ვირჩევთ ფუნქციას “Unicode-codepage 1200” (ნახ. 4.21).



ნახ.4.20. დაილოგური ფანჯარა Save File As



ნახ.4.21. დიალოგური ფანჯარა – Advanced Save Options



ნახ.4.22. დიალოგური ფანჯარა – Advanced Save Options,
ველით - Encoding

ლიტერატურა:

1. გიუტაშვილი მ., თურქია ე. კორპორაციულ სისტემებში ინტელექტუალური რესურსების მენეჯმენტი, მონოგრაფია, სტუ, თბილისი, 2008.
2. თურქია ე., მმანაშვილი ო. ინტერნეტ-ბიზნესი, სახელმძღვანელო, სტუ, თბილისი, 2008.
3. სურგულაძე გ., თურქია ე, ბულია ო. Web-აპლიკაციების დამუშავება მონაცემთა ბაზების საფუძველზე (ADO.NET, ASP.NET, C#), სახელმძღვანელო, სტუ, თბილისი, 2009.
4. სურგულაძე გ., თურქია ე, ბულია ო. Web- აპლიკაციების აგება ASP&ADO&C# პაკეტებით .NET პლატფორმაზე, მეოდ. სახელმძღვანელო, სტუ, თბილისი, 2009.
5. სურგულაძე გ., თურქია ე. ბიზნეს-პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტება, მონოგრაფია, სტუ, თბილისი, 2003.
6. Surguladze G., Turkia E., Gulua D. Perfection of Object-Oriented Projecting with a Process-Oriented Approach, Internation. Conference, Educat, science and economics at univ.Integrat.to intern.educ.area, Płock, Poland, 2008.
7. Rinderle, S.; Bobrik, R.; Reichert, M.; Bauer, T. Business Process Visualization – Use Cases, Challenges, Solutions. In: Proceedings of the 8th International Conference on Enterprise Information Systems, Paphos, Cyprus, 2006.

8. Jablonski, S., Petrov, I., Meiler, C., Mayer, U. Guide to Web Application and Platform Architectures, Germany, Springer-Verlag Berlin And Heidelberg Gmbh, 2004, p. 245.
9. Open Management Group, Business Process Management Initiative: Business Process Modeling Notation (BPMN), <http://www.bpmi.org>, 2006
10. Swift M. Accelerating Customer Relationships Using CRM and Relationship technologies. 2001
11. Integrating ERP can overcome CRM Limits. Software Magazine. Earls, 2002.
12. O'Brien. Management Information Systems: Managing Information Technology in the E-Business Enterprise, 2002.
13. Hammer M., Champy J. Reengineering the Corporation. A Manifesto for Business Revolutions, HarperBusiness, 1993.
14. Hickman L.J. Technology and Business Process Reengineering (BPR): Understanding Where BPR Fits into the World of Information Systems Developers. Proc. of ORACLE User Forum 93, v.2, Vienna, 1993.
15. Электронный бизнес <http://www.aqtime.ru/econs/ebiz.html>,
უკანასკნელად გადამოწმებულ ოქნა – 10.02.2009.
16. Язык XML, практическое введение www.citforum.ru,
უკანასკნელად გადამოწმებულ ოქნა – 10.02.2009.